ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი 4 თებერვალი 1910 წ. № 1

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთ წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წყგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: ვანქის № შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

13/09 n/42

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთ წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გირეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახეა მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ., ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წყგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: ვანქიის № შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

სიმონ, გიორგი და თეოფილ, დავითისძენი ოთხმეზურები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 4 თებერვალს სოფელ დვაბზუში (გურია) წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის დედის

ასპირო გიორგის ასულის ოთხმეზურის

სულის მოსახსენებლათ (1—1

ალათი, პეტრე ურუშაძენი, ფროსინე, ივლიტე, ანთისე, ისააკ ჭანტურიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი ქმრისას, მეორე მამისას, დანარჩენები ბიძის

გიგო დარისპანისძის ურუშაძის

პანაშვიდები ყოველ დღე ხუთ საათზე. დაკ ძალვა მოხდება პარასკევს, 5 თებერვალს, 3 საათზე, ფოთში 2—1

თფილისის კერძო საბკურხანა

0 შედმიგი საწოდით და სამშაბათარ განოფიდებით. დიაბრის ყოველ დღე გარდას მოსიარულე ავთმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლაბაბიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

ბედევანიშვილი ვ. ა. ნერვებს და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

გურაძე ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარბინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი ბ. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. ფ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. ფ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

ფიცადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოგბოლევსკი ბ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—75)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო საბკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავთმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაშაძე კბილის ავთმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. ზომართელი ,ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავთმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავთმყ.

ექ. ნ. ფ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავთმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავთმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავთმყოფ.

ექ. ე. ბ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—76)

ერიდეთ

შეცდომაში არ შეხვიდეთ!

რა საჭიროა 10 ცალში 5 კაპ. იხადოთ, როცა იმავე ფასში შეიძლება ორჯერ მეტი უკეთესი პაპიროსები იყიდოთ:

ДРУЖБА ИО ТОВАРИЩЪ

20 ცალი 5 კ.

რომ პაპიროსები საუკეთესო ხარისხის არის, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ბაზარზე გამოიტანეს ამ ფირმის ყალბი პაპიროსები, ამიტომ ყიდვის დროს ფრთხილათ იყავით, მიაქციეთ ყურადღება ფაბრიკის

მარკას და ფირმას

ნ. ი. ბოგზარქიანცი შვილთ

თფილისში. (10—7)

თფილისი, 4 თებერვალი.

„რუსეთი ევროპა არ არის. თუ იქ პრესა დღეს მოუსყიდველია, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მის მოსყიდვას არც არავინ საჭიროებს. დადგება მისი მოსყიდვის საჭიროების ჟამიც და მაშინ ვერც რუსეთის პრესა იამაყებს თავისი სიფაქიზით.“

დადგება დრო, როდესაც რუსეთის პრესაც ვერ იამაყებს თავისი სიფაქიზითო,—უთხრა შორსმჭვრეტელმა კ. მარქსმა რამდენიმე ათი წლის წინათ მაქსიმ კოვალევსკის,—და ეს დრო უკვე კარგი ხანია, რაც რუსეთში გამეფდა. რუსეთში მოუპატიჟებლათ შემოჭრილმა კაპიტალმა თავისი აღორძინების პირველ დღიდანვე საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ რუსეთის პრესამ დამოუკიდებლობა დაჰკარგაო. მართალია, პრესის დამოუკიდებლობის დაკარგვა ბევრს არა სჯეროდა ისე, როგორც თვით კაპიტალის განვითარება რუსეთში, მაგრამ „ურწმუნო თომანი“ ყოველ დროში ყოფილან და იქნებიან. მათ დასარწმუნებლათ საჭირო იყო არა თეორეტიული მოსაზრებანი, არამედ ფაქტები, ფაქტები და მხოლოდ ფაქტები.

ამ ფაქტების ცდაც დიდხანს არ დასჭირვებიათ. აღორძინებულ კაპიტალს მფარველი და დამხმარე. ესაჭიროებოდა სხვადასხვა მხრიდან მოტანილი იარიშების მოსაგერებლათ, თავის ფირმისათვის რეკლამის შესაქმნელათ და სამოქმედო ასპარეზის გასაფართოებლათ. ამ მოვალეობის შესრულება იკისრა პრესის წარმომადგენელთა ერთმა ნაწილმა, რომელმაც პრესის დამოუკიდებლობას ვაჭარ-კაპიტალისტისაგან აღებული ბაჯაღლოები არჩია. კაპიტალი გამეფდა. მის წინაშე ქედი მოიხარეს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, მას ქება-დიდებას ასხამენ განათლებული პროფესორები, მის ოქროს ფეხებს მონურათ ლოკავენ პრესის წარმომადგენელნი. პრესა—ეს მკვეთრი იარაღი ჭეშმარიტებისა, ეს ბასრი მახვილი ბოროტებასთან და უსამართლობასთან ბრძოლისა, პრესა—კაცობრიობის საუკეთესო იდეალების მატარებელი, პრესა სპეტაკი, ფაქიზი და დამოუკიდებელი—დღეს კაპიტალის შეუზღუდველი ბატონობის ხელის შემწყობი შეიქნა. როგორც სამართალი, ჭეშმარიტება, სინდისი,—ისე, პრესაც, დღეს ფულზე დახურდავდა. პრესამ თავისი წმინდა დანიშნულება დაკარგა, ის დღეს ჭეშმარიტების მაგიერ—სქელი ჯიბისაკენ იყურება. ერთი სიტყვით, რუსეთიც არ დარჩა გამონაკლისი ევროპის სხვა სახელმწიფოთა მაგალითიდან, აქაც გამოჩნდა მოსყიდული პრესა, რომელსაც ევროპაში ყვითელი პრესის სახელით იცნობენ. არც თფილისის პრესა ჩამორჩა საერთო ფერხულს, თავისდა სამარცხვინოთ მანაც თავი მოიხარა ფულის ძლიერების წინაშე. ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში არ გვაქვს მემარჯვენეთა და შავრაზმელთა გაზეთები, რომლებიც თავიანთ არსებობას მხოლოდ „სუბსიდიების“ წყალობით ახერხებენ. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ გაზეთებზე, რომლებსაც რამდენიმეთ მაინც პროგრესიული სუნი უდისთ. ასეთი არის მ-გ., ამ დღეებში ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვლილი ყოველ-კვირეული გაზეთი „ეჟენედელნოე ობოზრენიე“. მართალია, ამ გაზეთის არსებო[illegible] უმ-ლო ისტორიიდან ბევრი [illegible] უქ-მოუფენელია, მაგრამ [illegible] კა, ისიც ფრიად საგულ[illegible] ჰა-ხასიათებელია. ქალ[illegible] რ-ზოევს რამდენიმე ჟ[illegible] რ-თათ ხელშეკრულობ[illegible] ამ-ვაის უსახელო საზო[illegible] ას-თან ბრიუსელში, რ[illegible] ულ-ტრამვაის უსახელო[illegible] ტე-რესების დაცვას ი[illegible] ლიზ-ნით „ტრამვაის სა[illegible] ყო-ველ თვიურათ 35[illegible] ამ-მიზნით აარსებენ [illegible]

განა ამაზე შორს წავა პრესის გარყვნილება? განა ამაზე მეტი აშკარა მაგალითი იქნება თვითმართველობის ხმოსნის უღირსი საქციელისა?..

პრესა, რომელიც საზოგადოების ინტერესებს უნდა იცავდეს, ტრამვაის აღვირ ახსნილ პატრონებს გამოსარჩლებას პირდება და მისი ინტერესების დაცვას კისრულობს... თვითმართველობის ხმოსანი, რომელიც ქალაქის მცხოვრებთა ინტერესების მოსარჩლე და თავდადებული დამცველი უნდა იყოს,—ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებს ბ. ბატალისაგან 1,000 ფრანკზე ახურდავებს; ამ ათას ფრანკათ ყიდის ის თფილისის მრავალ-ათასოვან მცხოვრებლებთა ინტერესებს...

მოუსყიდველი, ჭეშმარიტი პრესის ვალია ამ სამარცხვინო მოვლენას რაც შეიძლება მეტი სინათლე მოჰფინოს, რომ საზოგადოების ფართო მასას სავსებით შეეძლოს გაითვალისწინოს თუ როგორ ვაჭრობენ მისი ინტერესებით, როგორ სთელავენ ფეხ-ქვეშ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებს.

ამრჩევლები მოვალეა ანგარიში მოსთხოვონ თავიანთ არჩეულებს, საზოგადოება მოვალეა ღირსეული მსჯავრი დასდოს ასეთ სამარცხვინო მოქმედებას...

სახელმწიფო დუმა.

(დეპ. საგ.).

1 თებერვალი.

თავმჯდომარეობს ხომიაკოვი. განაგრძობენ ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების კანონ-პროექტს. ღებულობენ კომისიის რედაქციით კანონ-პროექტის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია სასამართლოს დაწესებულების და თანამდებობის პირთა თვალყურის დევნების შესახებ. რის უფლებაც სასამართლო პალატას ეძლევა. უარს ყოფენ იუსტიციის სამინისტროს წინადადებას—დაექვემდებარონ ადგილობრივი სასამართლოს დაწესებულებები საოლქო სასამართლოებს.

დიდ კამათს იწვევს კოვალენკო პირველის შესწორება, რომ ნაფიც ვექილთა არ შეუძლია იყოს ქალი.

შუბინსკი წინადადებას იძლევა ეს შესწორება არ განიხილონ, რადგან თავის დროზე ამის შესახებ წარმოდგენილი იქნება დუმაში დუმის 100 წევრის მიერ ხელმოწერილი კანონ-პროექტი მიეცეთ ქალებს ნაფიც ვექილთა უფლება. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი წინააღმდეგია ამ შესწორების განხილვის, რადგან ამ შესწორების განხილვის დროს ისეთ კითხვებს უნდა შეეხონ, რომლებიც კანონ-პროექტის გარეშე დგანან და არავითარი კავშირი არა აქვთ ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმებთან. ანტონოვი მხარს უჭერს იუსტიციის მინისტრის ამხანაგს. ტიმოშკინიც მინისტრის ამხანაგს მხარს უჭერს. 157 ხმით წინააღმდეგ 92 ხმისა წინადადებას უარს ყოფენ.

შემდეგ დუმა ღებულობს მომრიგებელ მოსამართლეთა და სიეზდების თავმჯდომარეთა ჯამაგირების და პენსიების პროექტს. უბნის მოსამართლეს ენიშნება 3000 მ. წელიწადში. გარდა ამისა საერობო და ქალაქის დაწესებულებები აძლევენ ბინის და კამერების დასაქირავებლათ 180 მ. წელიწადში.

ღებულობენ კრუპენსკის წინადადებას არ მოახდინონ დღეს საღამოს სხდომა ხვალ დიდი უქმის გამო.

შიდლოვსკის წინადადებით დუმა იხილავს პროექტის მეორე ნაწილს. კამათის შემდეგ დუმა ღებულობს კომისიის რედაქციით და კადეტების შესწორებებით კანონ-პროექტის იმ თავს, სადაც ლაპარაკია სასამართლოში გაწვევის შესახებ. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 3 თებერვალს.

დეპეშები

(ჰეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან)

3 თებერვალი.

სპარსეთი.

თავრიზი. ყარაჯაღიდან მოვიდა შუდჯა-უდ-დოულეს და ბაგირ ხანის რაზმი. მათთან ერთათ მოვიდენ ყარაჯაღის ხანები, რომლებიც მთავრობის მხარეზე გადმოვიდენ. შუდჯა-უდ-დოულე ძლიერ ავათ არის.

ოსმალეთი

სტამბოლი. მფარველ სახელმწიფოთა ელჩებმა შეატყობინეს ოსმალეთის მინისტრს ამ სახელმწიფოთა ელჩების განცხადების შინაარსი კრიტოსის აღმასრულებელ კომიტეტისადმი არ მიეცეთ უფლება კრიტოსის მცხოვრებთა მონაწილეობა მიიღონ საბერძნეთის საკანონმდებლო არჩევნებში. თან აღნიშნავენ, რომ უკეთუ მცხოვრებლებმა ამის შემდეგ კიდევ მოიწერეს მონაწილეობის მიღება სახელმწიფოები ნამდვილ ზომებს მიიღებენ. ამ ცნობამ დამამშვიდებელი გავლენა მოახდინა ოსმალეთის მთავრობაზე.

პალატამ უკამათოთ მიიღო კანონი საამშენებლო—საზღვაო პროგრამის განსახორციელებლათ ამი წლის განმავლობაში, ხუთი მილიონის გადადების შესახებ.

სტამბოლი. ნავთსადგურებიდან ცნობები მოვიდა, რომ კოვენსკის შეიხმა არავიმ ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო, მას მიემხრო რამდენიმე ტომი

სპარსეთის სრუტეს ახლო მახლო მცხოვრებნი.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. უკანასკნელ გამოანგარიშებით დეპუტატთა პალატაში იქნებიან 274 ლიბერალი, 273 უნიონისტი, 82 ნაციონალისტი და 41 მუშათა პარტიის.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს დეპეშით ატყობინებენ ალლაგაბადან: სავასალო სახელმწიფო ბასტარში, აჯანყდენ ადგილობრივი მცხოვრებნი. დაანგრიეს ბაზარი, ფოსტა და სხვა დაწესებულებები. მძიმეთ დასჯრეს მთავრობის კომისარი, აჯანყების ჩასაქრობათ გაიგზავნა 120 პოლიციელი.

ლონდონი. ოფიციალურათ იტყობინებიან მინისტრების დანიშვნას: ჩერჩილი—შინაგან საქმეთა: ბუგსტონი—ვაჭრობის; გერბერტ სამუელი—ფოსტის; პიზილანკისტერის საჰერცოგოს კანცლერათ; მისტერი ოფილიბენი—ხაზინის მდივნათ.

ბერლინი. „დეიტჩე კაბელგრამმეზელშაფტ“-ს დეპეშით ატყობინებენ კანტონიდან, რომ აჯანყებულებმა გააფუჭეს ყაზარმების ასაშენებელი მასალა. დახოცეს ცხენები და როცა ზარბაზნები დაუშინეს გაიქცნენ. დაკარგეს 300 კაცი.

ლონდონი. რეიტერის ცნობით კანტონის ვიცე-კოროლმა განაცხადა, რომ უცხოელებს უზრუნველ- ვერ ყოფს დაიცოს აჯანყებულთაგან. კანტონის გზის მოსამსახურეები და მისიონერები გაიქცენ.

ტოკიო. იტოს მკვლელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მისი ხელის შემწყობთ, კატორღა.

რუსეთი

კალუგა. დუქანში შეიჭრა ხუთი შეიარაღებული უცნობი. ყვირილზე გაჩნდა გოროდოვოი, რომელიც თავდამსხმელებმა დესჭრეს ფეხში და გაიქცნენ.

ადესა. ეკკლესიის საკაულების დუქანში აფეთქება მოხდა. აფეთქდა ვიღაც უცნობის მიერ მოტანილი ყუმბარა. ზარალი 70,000 მანეთია.

მოსკოვი. 1905 წლის ფოსტა ტელეგრაფის გაფიცვის გამო საოლქო სასამართლომ 20 კაცს ერთი თვიდან ორ წლამდე ციხე მიუსაჯა, 7 გაამართლა.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც გაზეთ „რეჩი“-ს თანამშრომელ იაბლონოვსკის ორი თვის

ციხე ქონდა გადაწყვეტილი. ტიმოშკინის შესახებ ფელეტონის დაბეჭდვისათვის.

ირბისტი. სოფელ პოდიელნიკში ამოხოცეს სამი სულისაგან შემდგარი ოჯახი მოიტაცეს ფულები. ბოროტმომქმედ მა თავი მოიწამლა.

მოსკოვი. ტურისტთა საზოგადოების ექსკურსანტთა კომისიის სადგომში დაიჭირეს რამდენიმე ს.-დემოკრატი იპოვნეს არალეგალური ლიტერატურა და მიწერმოწერის ქალალდები.

რისთვის არ მიიღეთ ხმოსანი მირზოევის განცხადება?

ორშაბათს, 1 თებერვალს, თბილისის ქალაქის საბჭოში „დიდ დღეს“ მოელოდენ; ირჩევდა ხმოსანი მირზოევის გადადგომის კითხვა. გადადგომის მიზეზი მთელმა თფილისმა იცის: ს. მირზოევს, ლ. ყიფიანს და ვლ. ნაგურსკის შეუდგენიათ „ამხანაგობა“, რომელსაც მიზნათ ჰქონია დასახული პრესის საშვალებით კავკასიის სხვადასხვა წარმოებების ინტერესების დაცვა, სხვათა შორის, თფილისის ტრამვაის ინტერესებიც. ამ უკანასკნელ მიზნისათვის ტრამვაის დირექციას მათთვის ყოველ-თვიურად 350 მ. უნდა ეძლია. საქმე უკვე გაჩარხული იყო, მაგრამ ხუთი იანვრის უბედურება—დანაშაულობამ მოთამაშეების ბანქო არივ-დარია. „ამხანაგობის“ ორგანომ „ეფენელნი ობოზრენიემ“ დირექციის წინააღმდეგ გაილაშქრა; ბ. ბატაილმა ეს, რასაკვირველია, იწყინა და ახირებულმა ბელგიელმა „არტისტიულ საზოგადოებაში“, იმ დროს, როდესაც ხმოსნებ ჭრელაშვილ და ახნზაროვთან მეგობრულად მასლაათობდა, უცბად შესძახა ქალაქის გამგეობის წევრ ნ. არგუთინსკის: ტრამვაის დირექცია ს. მირზოევს ფულს აძლევს, და ის კი ამავე დირექციას ლანძღავსო.

აირია მონასტერი.

ქალაქის და ტრამვაის ინტერესები დატაკებულია. ხმოსანი მირზოევი ქალაქის ინტერესებს უნდა იცავდეს, ის კი თურმე ტრამვაის ქომაგობას უწევს. „მოჭრა თავი“ ქალაქის თვითმართველობას. მართალია, ქალ. თვითმართველობა დიდი მეგობარია ბ. ბატაილის, არც ის იცავს ქალაქის ინტერესებს, ქალაქის მტერს და მოპირდაპირეს ის აქებს—ადიდებს, მაგრამ ყოველივე ეს უსასყიდლოა; ყოველ შემთხვევაში ამაში ჯერ საქვეყნოდ არავის არ შეუტანია ეჭვი. მირზოევი? მირზოევი ქრთამს ღებულობს, და, საყურადღებო ესაა, ეს ქრთამი უკვე გამომჟღავნებულა. ვინაიდან ხელის დაფარება ყოვლად შეუძლებელია, გამგეობამ თვითონ უნდა გაჭიკცხოს მექრთამე. მოხდა დაფარული გამოძიება, რომელმაც ა. მირზოევის და მისი ამხანაგების საქმენი-საგმირონი ცხად ჰყო. ფაქტები, საბუთები, მირზოევ-ყიფიან-ნაგურსკის ახსნა-განმარტებები, მოწმეების ჩვენებები, ყოველივე ეს გამგეობას ხელთ აქვს, ყოველივე ამას გამგეობა საბჭოს აცნობს და დასძენს, რომ მირზოევი, გამგეობის წინადადებით, ხმოსნობაზე უარს აცხადებსო. ხმოსან ხუნუნცს წინადადება შეაქვს საბჭოში: მივიღოთ ბ. მირზოევის გადადგომის განცხადებაო.

რას ამბობს საბჭო? სანამ მის პასუხს ვიტყოდეთ, ჩვენ გვინდა ამ კითხვის იურიდიულ მხარეს შევეხოთ. რა იურიდიული მნიშვნელობა აქვს რომელიმე „საზოგადოების“ წევრის განცხადებას გადადგომის შესახებ? თუ ამისთანა განცხადება „საზოგადოების“ თავმჯდომარემ საზოგადო კრებაზე წაიკითხა, ამ დროდან ის წევრი აღარ ითვლება „საზოგადოების“ წევრათ მაშინაც კი, თვითონვე რომ უკან წაიღოს თავისი განცხადება. რა რომ თავმჯდომარე განაცხადებს კრებაზე, ეს განცხადება სავალდებულოა როგორც „საზოგადოებისათვის“, აგრეთვე თვით წევრისათვის.

უკანასკნელს არ აქვს უფლება დაიბრუნოს თავისი განცხადებაო.

ასეა ეს კითხვა განმარტებული რუსეთის უმაღლეს სამსჯავროსაგან, ასეა ეს კითხვა განმარტებული მესამე სახელმწიფო დუმის მხრივაც.

მაშ, ხმოსანი ხუნუნცის წინადადებას: მივიღოთ ბ. მირზოევის გადადგომის განცხადებაო,—არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ ჰქონია. მიიღებდა თუ არ მიიღებდა საბჭო, ბ. მირზოევი 1 თებერვლიდან ქალაქის ხმოსნათ აღარ ითვლება. მაშასადამე, საბჭოს გადაწყვეტილებას ჰქონია მხოლოდ ზნეობრივი მნიშვნელობა.

საბჭომ უარჰყო გამგეობის წინადადება.

რას ნიშნავს ეს?

ბ. მირზოევი—ხმოსანია. ხმოსანი მირზოევი უნდა იცავდეს ქალაქის ინტერესებს. ხმოსანი მირზოევი პირობით ეკვრის ქალაქის მოპირდაპირეს: ყოველთვიურ 350 მანეთად დაიცვას მისი, მოპირდაპირესი, ინტერესები. ეს დამტკიცებულია. მიუხედავათ ამისა, რომ ის პირველად ამას უარყოფდა: დირექცია მეკი მაძლევდა ფულებს, მაგრამ ამას მე სხვა და სხვა იჯარებში ვიღებდი,—ბოლოს ის იძულებულია გამოტყდეს და აღიაროს: მართალია, იყო ჩემს და ტრამვაის შორის ზემოთმოხსენებული ხელშეკრულობაო; თვით ქალაქის გამგეობაც კი თხოულობს მირზოევის გადადგომას; უკანასკნელად, თვით ბ. მირზოევი აცხადებს: არ მინდა ხმოსნობაო;—საბჭო უარყოფს გამგეობის წინადადებას და ამ უარყოფით ის ამბობს: ხმოსანს შეუძლია გაყიდოს ქალაქის ინტერესები, მას შეუძლია ქალაქის საქმეებში ქრთამი აიღოს, ეს არ არის უზნეობაო.

დავანებოთ ყოველისფერს თავი და ვიკითხოთ: მირზოევი რომ მართალი ყოფილიყო, იტყოდა უარს ხმოსნობაზე? არა და ათასჯერ არა. ის გადადგომის განცხადებას კი არ შემოიტანდა, როდესაც ამის შესახებ მან გამგეობის წინადადება მიიღო; ის მოვიდოდა საბჭოს სხდომაზე და იტყოდა: ბატონებო! მე უზნეობას მწამებენ, მე მოღალატეთ მთვლიან, მე ქალაქის ინტერესების გამყიდველს მეძახიან. ვინც ცილს მწამებს, მან უნდა დაამტკიცოს ბრალდება, მაგრამ მე ამას არ მივზდევ, თქვენ დამტკიცებას არ მოუცდი. მე თვით დაგიმტკიცებთ, რომ არა ვარ დამნაშავე. ჩემი მოწმეები, აი ჩემი საბუთები.

განა მირზოევის განცხადება არ ამტკიცებს მის დანაშაულობას? სრულიად ამტკიცებს. განა ის ხელშეკრულებები, რომლებსაც საბჭო გაეცნო, არ იძლევიან საკმაო საბუთს, რომ ხმოსანი მირზოევის შესახებ ეს თუ ის გადაწყვეტილება გამოიტანოს საბჭომ? ვნახოთ.

ხელშეკრულება პირადი: ს. მირზოევი, ლ. ყიფიანი და ვლ. ნაგურსკი სდებენ ურთიერთშორის პირობას, რომ მათ პრესის საშვალებით დაიცვან კავკასიის წარმოებების ინტერესები. ფულს „ამხანაგობა“ ღებულობს ამა თუ იმ მწარმოებლიდან, მაგრამ თუ მწარმოებლის ინტერესი ეწინააღმდეგება მცხოვრებლების ინტერესებს ან ამხანაგების რწმენას და შეხედულებას, ისინი თავიანთ მოქმედებაში თავისუფალნი არიან, მხოლოდ დახმარებას ამ მწარმოებლებიდან მაინც დებულობენ.

ხელშეკრულება მეორე: 1) ბელგიის უსახელო საზოგადოება მოვალეა აძლიოს „ამხანაგობას“ თვიურათ 350 მან.; 2) ამხანაგობა ვალდებულია დაიცვას ტრამვაის ინტერესი, თუ რომ ეს „ამხანაგობის“ რწმენას და შეხედულებას არ ეწინააღმდეგება. 3) ამ ხელშეკრულებას ძალა აქვს ერთ წელიწადს და 6 თვეს, მაგრამ თუ თფილ. ქალ. თვითმართველობა ტრამვაის კონცესიის ვადას ხუთი წლით მაინც გაადიდებს ან ახალი ლიანდაგების გაყვანას, რომელიც დირექციას ვალათ აწევს, ადროვებს—ხელშეკრულების ვადა გაგრძელდება კიდევ სამი წლით. 4) შეხედულება ძალაში შედის მაშინ, როდესაც მას „ამხანაგობა“ ჩაიბარებს.

ცხადია, რომ პირველი პირობის უკანასკნელი მუხლი ცალიერი თვალთმაქცობაა და ვიღაცას მოსატყვილებლათ არის შიდ ჩართული. მართლაც, რომელი მწარმოებელი გასულელდება და ფულებს ჩაუჩხრიალებს ჟურნალისტს, თუ კი ეს უკანასკნელი მას ლანძღვა-თრევას დაუწყებს. ასეთი მწარმოებელი შეიძლება მხოლოდ საგიჟეთში მოინახოს. მწარმოებელი არავის არ დაიჯენს კალთაზე და თუ გაბრიყვდა და დაიჯინა, წვერებს ხომ მაინც არავის აღარ დააგლეჯინებს. ცხადია, რომ მწარმოებელი ყიდულობს ჟურნალისტს, რათა მან მას დაეხმაროს.

მაგრამ თუ გვინდა ტრამვაის დირექციის გონიერება და გამჭრიახობა დავინახოთ და „ამხანაგობის“ ნამდვილი სახე და დანიშნულება გავიცნოთ, უნდა ჩაუკვირდეთ მეორე პირობის მესამე მუხლს. მისი აზრი შემდეგია: თუ „ამხანაგობა“ ეცდება კონცესიის ვადის გადიდებას და ახალი ლიანდაგების გაყვანის გადიდებას, პირობის ვადაც გადიდებული იქნება. „ამხანაგობა“ დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტჯერ აიღოს 350 მან., მაშ ის უთუოდ ეცდება დირექციის სურვილი აღსრულდეს. ყოველივე ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ შეიძლება საბჭოს ეგონოს, რომ ეს პირობა „ამხანაგობას“ არ აქვს ჯერ მიღებული, რომ მას ამ პირობაზე თანხმობა არ განუცხადებია. ვნახოთ. მეორე პირობის მეოთხე მუხლი ამბობს: ხელშეკრულება ძალაში შედის მაშინ, როდესაც მას „ამხანაგობა“ ჩაიბარებსო. ჩვენ კი ვიცით, რომ ეს ხელშეკრულება ჩაბარებულია 18 ოქტომბერს, 1909 წელს, და აი სწორეთ ამ დღეს ის ძალაში შესულა.

ასეთია პირობები. უფრო ნათელი დამტკიცე ია სხვა საბუთები, რომელნიც საბჭოს ხელთ ჰქონდა. მაგ, რისთვის არ გაჭიკცხა აბჭომ ხმოსანი მირზოევი? რისთვის აფარებს ის ხელს დანაშაულობას? რისთვის არ იცავს საბჭო მცხოვრებლების ინტერესებს?

რატომ არ მიიღეს ბ. ხუნუნცის წინადადება? რით ხელმძღვანელობდენ, როდესაც ბ. ხუნუნცის წინადადება უარყვეს? იქნებ არ იცოდენ ხმოსნებმა, რა დროს მიიღო „ამხანაგობამ“ მეორე პირობა? 18 ოქტომბერს. ეს ის დრო იყო, როდესაც ბ. ბატაილს ახალი გადასაჯდომი ბილეთები შემოქონდა; როდესაც ის ტრამვაის მუშათა რიცხვს ამცირებდა; როდესაც ის მუშებს სულ უბრალო შეცდომისათვის აჯარიმებდა და ადგილიდან ითხოვდა; როდესაც მას უვარგისი ვაგონებით დაჰყავდა მგზავრები; ერთი სიტყვით,—როდესაც დირექცია ხუთი იანვრის კატასტროფას ამზადებდა. აი ამ დროს ხმოსანი მირზოევი თავის-თავზე ღებულობს დირექციის ინტერესების დაცვას. ეს იციან ხმოსნებმა და სდუმან. ხმოსნებმა იციან, რომ მათი ამომრჩევლები აღელვებულნი არიან ხმოსანი მირზოევის მოქმედებით და ამას ანგარიშს არ უწევენ...

ასე იცავენ ჩვენი ხმოსნები ქალაქის ინტერესებს. **იგ.**

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

† ალექსნდრე ნიკურაძე. ქალაქ ფოთში, 12 იანვარს, ფილტვების ავათმყოფობით გარდაიცვალა ჯერ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ვლადიმერ ალექსისძე ნიკურაძე. ბსმა ასე უდროოთ დაკარგვამ დიდათ დაამწუხრა ყველა მისი ნაცნობ-ნათესავი და ამხანაგები, განსვენებული 1907 წ. წელიწადი და ექვსითვე ბათომის ციხეში იჯდა. შემდეგ გაანთავისუფლეს. განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლშვილი.

✒ გაზ. „მომავლის“ დახურვა. თფ. გენერალ გუბერნატორის განკარგულებით 30 იანვარს დაიხურა გაზეთი „მომავალი“ რედაქცია დაკეტეს.

✦ თავისდაცვა. გაზ. „ნ. რ.“ თანამშრომლებთ კადაუწყვეტიათ თფილისის მელმაც გლეხები გაასამართლოს მაგრამ რომლის არჩევაში გლეხები მონაწილეობას არ იღებენ, და რომელშიდაც გლეხი ვერავითარი ღონის ძიებით ვერ მოხვდება? სრულიად სამართლიანი და აშკარაა, რომ ამ ცენზის დანიშნულება სულ სხვაა. ცენზის საშვალებით სურთ ეს ადგილები უბოძონ ისედაც ბევრ ადგილებში ჩასკუპულ აზნაურობას, რომელიც სრულებთ უვარგისი ელემენტია და მუდამ იმა შესაქერის, როდის გამიზიარებენ სახაზინო ხაჭაპურსო (მარჯვნით ხმაურობა. მაიცხნით ტაში ცემა. ხმა: მშიერი აზნაურობა!“).

გრაფ ბობრინსკი ამას წინათ ამბობდა, რომ სახელმწიფო დუმაში 15 დემოკრატი მოხვდა, ფიქრობენ—როგორც ის ამბობს,—ხოროკი შეისხეს სახაზინო საკვებზეო.

სრულიად მართალია, 15 სოციალისტი ხაზინის ხარჯზე და ისიც არა სახაზინო ციხეში—ეს დიდი შეძენაა...

თავმჯდომარე. გთხოვთ, საკითხს დაუბრუნდეთ!

ბობრინსკი. აი, მეც ვამბობ, რომ სოციალისტებს და დემოკრატებს სურთ სამსახური, და არა მარტო კვება. ბ. ბ. აზნაურები აღნიშნავენ, რომ ისინი, ვითომც, ერთხელ მოხვდენ საპატიო დაწესებულებაში და მაშინვე სიმუნჯე შეეტყოთ. ბ. ბ. აზნაურები კი საუკუნეების განმავლობაში სუქდებოდენ ხალხის ხარჯზე, დღემდისაც შეირჩინეს ეს ტანის აგებულება (კომპლექცია), ეპირებიან კიდევ მოსუქდენ (მარცხნით ტაში). აი, სწორეთ ამის შესახებ გვინდა ჩვენ ის გავიმეოროთ, რაც ხალხმა უკვე სთქვა:—კმარა, თუ საზოგადო ასპარეზზე სამსახური გსურთ—მობრძანდით, იმსახურეთ, მაგრამ იმსახურეთ თანასწორ პირობებში და უპირატესობის პრივილეგიებს ნუ მოითხოვთ. დადგა დრო, როდესაც უპირატესობაზე კი არ უნდა ზრუნავდეთ, არამედ აზნაურთა ყოველ-გვარი უპირატესობანი ძირიან-ფესვიანათ უნდა აღმოვფხვრათ. გასაგებია, თუ ერთპიროვანი ბელგიელი მსაჯულთა შესახებ.

(სტენოგრაფიული ანგარიშებიდან)

მუხლი მე-19-ტე, რომელსაც თქვენ ამ ჟამათ იხილავთ, გვეუბნება იმას, თუ ვინ შეიძლება არჩეულ იქნას მომრიგებელ მოსამართლეთ. მას შემდეგ, რაც უარყოფილ იქნა საკითხი კოლეგიალურ და სათემო სასამართლოს შესახებ, რომელიც დემოკრატიულ მასისათვის და კერძოთ გლეხობისათვის შეჩვეული და მათთან ახლო მდგომი სასამართლო იყო, საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება ერთპიროვან მომრიგებელ მოსამართლეთ არჩეული, გლეხების მასისათვის ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხია. და აი, ამ საკითხს სწყვეტს მთავრობისა და კომისიის კანონ-პროექტების მე-19-ტე მუხლი, რომელშიაც ყოველგვარ ცენზებზეა ლაპარაკი. მოსაზრებანი, რომლებმაც აიძულეს მთავრობა და კომისია შეექმნათ ეს მუხლი ცენზების შესახებ, ძალიან საყურადღებოა. კანონ-პროექტის სიტყვით, ეს იმისათვის არის საჭირო, რომ ადგილობრივი სასამართლო სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ადგილობრივ სასამართლოთ გახდეს, რომ მცხოვრებლებთან დაახლოვებული იქნეს. იუსტიციის მინისტრის განმარტებაში ნათქვამია, რომ სასამართლო ახლოს უნდა იდგეს მცხოვრებლებთან, როგორც კერძოთ სამოქმედო ადგილით, აგრეთვე სასამართლოს ორგანოების მიერ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებათა გაცნობით. ამასვე ამბობს კომისიის განმარტებაც, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საკითხი ისეთი სასამართლოს შესახებ, რომელიც დაახლოვებული იქნება მცხოვრებლებთან, წყდება ამ სასამართლოს არჩევით წესზე დაფუძნებით. მცხოვრებნი თვითონ უკეთ დაიფასებენ, ვინც მათთვის საჭიროა და კიდევაც აირჩევენ, რასაკვირველია, ისეთ პირს, რომელიც მათთან ახლოს დგას. როდესაც ცენზს აწესებენ, ამით მხოლოდ მცხოვრებთა სურვილებს, ამრჩეველთა თავისუფალ ნებას ზღუდავენ. ამიტომ ჩვენ ყოველგვარი ცენზის წინააღმდეგი ვართ, რადგან ყოველი ცენზის ერთათ ერთი დანიშნულებაა—ამრჩეველთა ნების შეზღუდვა. მართალია, მე-19-ტე მუხლის პირველი სტრიქონები უნაკლოთ გვეჩვენება, აქ გველაპარაკებიან იმაზე, რომ მომრიგებელი მოსამართლე უნდა იქნას ადგილობრივი მცხოვრები, მაგრამ ამაზე ლაპარაკი აქ ზედმეტიცაა, რადგან მოსალოდნელი არაა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ვარიაგებთან გაიქცენ მოსამართლის მოსაყვანათ. მიზნის შეუფერებელია აგრეთვე მოთხოვნილება 25 წლის ხნოვანებისა და განათლების შესახებ. ჩვენი ღრმა რწმენით რუსეთის ხალხი იმდენათ მომწიფებული კია, რომ ის მომრიგებელ მოსამართლეებს არ აირჩევს ფიზიკურათ, ზნეობრივათ და გონებრივათ მცირეწლოვან პირთაგან. მართლაც, თუ დღემდის რუსეთის სოფლების მართვა-გამგეობა და მართლმსაჯულება აზნაურთაგან გამოსულ უასაკოებს (недоросли) ქონდათ მინდობილი, ეს იყო არა მცხოვრებთა სურვილის თანახმათ, არამედ სწორეთ მათი სურვილისა და ნების წინააღმდეგ. მაგრამ ამ სტრიქონებში კი არ არის მე-19-ტე მუხლის სიმძიმის ცენტრი, არამედ იმ ადგილზე, სადაც ლაპარაკია ქონებრივ ცენზის შესახებ. მართლაც, საკითხს მცხოვრებლებთან სიახლოვის შესახებ სავსებით აკმაყოფილებს ის გარემოება, რომ მოსამართლე უნდა იქნას ადგილობრივი ჩამომავლობის (მასთან სრულწლოვანი და განათლებულიც)—ვგონებ ასეთი პირი მომრიგებელ მოსამართლეთ ივარგებდა; არა, ამბობს კანონ-პროექტი, ეს საკმარისი არ არის, მას იმდენი მიწის საკუთრება უნდა ქონდეს, რომ საერობო ცენზი დააკმაყოფილოს, ან უძრავი ქონება 3-დან 15,000 მანეთამდე ღირებული. რისთვის არის საჭირო ეს ქონებრივი ცენზი? აი, ამ თემაზე მსურს მე ვილაპარაკო. მთავრობის და კომისიის კანონ-პროექტი გვეუბნება: ასეთი ცენზი რამოდენიმეთ გარანტიას იძლევა იმის შესახებ, რო მომრიგებელი მსაჯული დამოუკიდებელი იქნება. ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ სრულიად წინააღმდეგი მოხდება: მართლაც, აიღეთ, მაგალითისათვის თუნდა იგივე საერობო პრაქტიკა, განა ბ.ბ. აზნაურნი, ბ.ბ მიწის მესაკუთრენი დამოუკიდებელი არიან?

არა, პრაქტიკა გვიმტკიცებს, რომ ისინიც ექვემდებარებიან გარეშე გავლენას და, რაც უფრო საყურადღებოა, ადგილობრივ ადმინისტრაციის გავლენასაც განიცდიან. თუ ვინმეა დამოუკიდებელი, ეს არის მხოლოდ მესამე ელემენტი, რომლისთვისაც ხვალინდელი დღეც არ არის უზრუნველყოფილი და მიუხედავათ იმისა, რომ უზრუნველყოფილი თავად-აზნაურობისაგან მუდმივ დაჩაგვრას ითმენს, ის, დამოუკიდებელი რჩება, თავად-აზნაურობა ვერასოდეს ვერ ეღირსება მის ერობიდან განდევნას. ასე სდგას საკითხი ქონებრივი ცენზის შესახებაც, რომელზედაც კანონ-პროექტი გველაპარაკება. მართლაც, სად არის მისი დამოუკიდებლობა, როდესაც ის გამოსადეგარია მხოლოდ განსაზღვრულ უბანში, სადაც მოთავსებულია ამა თუ იმ პირის, ან მისი ცოლის, ან მისი მშობლების უძრავი ქონება. საკმარისია მან ცენზი დაკარგოს და ის სრულებით უვარგისი ხდება. როგორ შეიძლება დამოუკიდებლობა მოვსთხოვოთ ისეთ ადამიანს—ასე იფათ არის დაფასებული—რომელიც თავისთავათ, უცენზოთ ყოვლათ უვარგისი, უღირალია? დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ ის, ვისაც ფასი ედება თავისი პირადული ღირსებით. ცხადია, კანონ-პროექტში დასახელებული მოსაზრება კრიტიკის უბრალო შეხებასაც ვერ ითმენს და თუ, მიუხედავათ ამისა, კანონ-პროექტის ავტორებმა ის მაინც მოიხსენიეს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე გასამართლებელი საბუთი მაინც ქონოდათ ქონებრივი ცენზის შესახებ. ამბობენ კიდევ, ვითომ ქონებრივი ცენზი მოწმობს ადგილობრივ მცხოვრებლებთან კავშირს, ზნე-ჩვეულებათა მნიშვნელობას და სხვ... მაგრამ იგივე მთავრობის კანონ-პროექტი ხაზს უსვამს, რომ ყოველივე ის ზედმეტი ცარიელ-სიტყვაობაა. მართლაც, კაცისაგან, რომელსაც უნივერსიტეტის განათლება მიუღია და ადგილობრივ ჩამამავლობისაა, მთავრობის კანონ-პროექტი მოითხოვს ე. წ. ხუთი წლის ხანგრძლივობას (давность), ე. ი. კაცი უნდა სცხოვრობდეს ერთ განსაზღვრულ მაზრაში არა ნაკლებ ხუთი წლისა. მეორე მხრით კი, ეს განათლებული კაცია, იურისტი, მომრიგებელ მსაჯულის თანამდებობისათვის სპეციალურათ მომზადებული. აიღეთ მეორე კაცი, საშუალო განათლებით, უვარგისი, მაგრამ თუ მას ქონებრივი ცენზი აქვს, მისგან სრულებით არავინ მოითხოვს, რომ აუცილებლათ ადგილობრივი ადამიანი იყოს, ე. ი. მცოდნე ადგილობრივი პირობებისა. საკმარისია, თუ მან ერთი წლით ადრე ჯვარი დაიწერა და ცოლის სახელზე ამ სახით ქონებრივი ცენზი შეიძინა, თუნდა ამ მაზრაში ის ერთხელაც არ ყოფილიყოს და მისი სრულებით არაფერი იცოდეს; ის მამულის მესაკუთრეა ამ მაზრაში და თქვენ უფლება არა გაქვთ უარი უთხრათ მამომრიგებელ მსაჯულის თანამდებობაზე. აქედან დღესავით ნათელია, რომ თქვენ მოსამართლის ხალხთან დაახლოვების განზრახვასაც არ გსურთ მიაღწიოთ. მიზანი სულ სხვაა. თქვენთვის დამოუკიდებლობა როდია საჭირო, არც ხალხთან დაახლოვება პირიქით, თქვენ გსურთ აიძულოთ ხალხი, რომ მან ის არ აირჩიოს, ვინც მისთვის საჭიროა. თქვენ ამ მხრით ყველაზე მეტათ გსურთ ხელფეხი შეუკრათ დემოკრატიულ მასას, გლეხობას. ამიტომ გლეხები სამართლიანათაც შენიშნავენ მათ მიერ წამოყენებულ განსაკუთრებულ აზრში: ეს როგორი საგლეხო, ადგილობრივ სასამართლოა, როდესაც ბ. ბ. აზნაურები ამბობენ, ეს ჩვენ ადგილობრივ სასამართლოა, ეს ჩვენ ადგილობრივ სასამართლოა, ეს ჩვენ ადგილობრივ სასამართლოა

გუბერნატოს იარაღების ტარების ნებართვა სთხოვონ. ამ თხოვნას ისინი ბით ასაბუთებენ, რომ თავიანთი თავი უზრუნველ ჰყონ ისეთ თავდასხმისაგან, ომელსაც ადგილი ქონდა ქართულ თეატრში კვირა საღამოს, 31 იანვარს.

✦ **ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს სხდომაზე, ორშაბათს, 1 თებერვალს, სხვათა შორის, განხილულ იქნა ა. ხატისოვის მოხსენება, ბ-ნ ბატაილის ბალ განკარგულების შესახებ, რომ ტრამვაის გადასაჯდომ ბილეთებით სარგებლობა მხოლოდ სამი საათის ვადით შეიძლება. ქალაქის საბჭოს დადგენილებით ბატაილის განკარგულება უკანონოა. ხელშეკრულების ძალით გადასაჯდომ ბილეთებით ერთის დღის ვადით შეიძლება სარგებლობა. ეს დადგენილება ბატაილს უნდა ეცნობოს.

✦ **ინციდენტი ქართულ თეატრში.** კვირას, წარმოდგენის დროს გრ. ციასამიძემ მოქმედებით შეურაცყოფა მაყენა ბ. გოთუას მიზეზათ შემდეგს ასახელებენ: გაზეთ „ნოვაია რეჩში“ დაიბეჭდა წერილი «ჟურნალისტების მოსყიდვა» მითითებით იყო კვირეულ გაზეთ „ეჟენედელნოე ობაზრ.“ და ჩამოთვლილი იყო ამ გაზეთის ყველა თანამშრომლები, რომელთა შორის ბ. დიასამიძეც ერია. ამ გამოცხადებას შედეგათ მოყოლი ის სამწუხარო ინციდენტი, რომელიც გამოიხატა ბ. დიასამიძის მიერ ბ. გოთუას ხელით შეურაცხყოფაში.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** კვირას, 7 თებერვალს, თფ. სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ, სახალხო სხლში, ნ. კ. გაუსბანი წაიკითხავს ლექციას „კომეტებზე“. ლექციის შემდეგ აიმართება უფასო კონცერტი.

✦ **სილნაღში დაარსდა** ქ. შ. ჭ. გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალური განყოფილება. განყოფილება მოქმედება უკვე დაიწყო.

✦ **მუსიკალურ საზოგადოება** გამგ. წევრთა კრება, მოხდება დღეს, 1 თებერვალს; კრება დანიშნულია სახალხო სახლში. სხდომაზე გაირჩევა საზოგადოების რამდენიმე მორიგი საქმეები.

✦ **რევიზია.** სილნაღის ქალაქის თვითმართველობაში ამ ჟამათ რევიზია სწარმოებს. თფ. გუბერნატორის ინდობილობით, რევიზიას აწარმოებენ სილნაღის მაზრის უფროსი, მომრიგებელი შუამავალი (единоличный) მომრიგებელ მსაჯულის შესახებ ამ სახით კითხვის დაყენების შემდეგ მესამე დუმის გლეხობა თქვენ კანონ-პროექტს ერთხმაა, ან როგორც თვითონ გლეხები ამბობენ,—მარჯვენა ფრთიდან მარცხენამდე, ყველანი, ერთსულოვანათ უარყოფით მოეპყრენ. თქვენ გლეხებს წაართვით მათთან შეხრილი სასამართლო, რომელსაც რა ნაკლუვანებაც არ უნდა ქონდეს, გლეხები მაინც თავისათ სთვლიან, მათ კანტროლის გავლენის ქვეშ მყოფთ—თუმცა ესეც ერთგვარი ფიქცია იყო—ერთი სიტყვით, ეს სასამართლო იყო ბათთან ახლო მდგომი, მათთან შეთვისებული. ამ კანონ-პროექტით სასამართლის კი არაითარი დამოკიდებულება არა აქვს გლეხობასთან არც საარჩევნო ცენზისით, არც აქტიური და არც პასიური უფლების მხრით. გლეხები პროტესტს აცხადებენ იმიტომ, რომ თქვენ მათ აძლევთ აზნაურთა სასამართლის (მარცხნიდან: მართალია) და ეს დემოგოგია არ გახლავს, როგორც დეპუტატი მაკლაკოვი ამბობდა. არა, მე ვფიქრობ, ეს ჭეშმარიტი რწმენით გამოწვეული განცხადებაა ყოველი ნამდვილი დემოკრატიის. თუ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატი სხვაფრივ აზროვნობს—ეს ისი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში, ძნელია მას კაცმა ნამდვილი დემოკრატი უწოდოს.

მერე რომელ აზნაურობას გადაეცემა ეს სასამართლო? აქ, მართლა, ბევრი ილაპარაკეს მომრიგებელ მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ, რომელიც გლეხების განთავისუფლების შემდეგ იქნა შემოღებული. თქვენ ხომ ამ სასამართლოებს იმ აზნაურებს არ გადასცემთ, რომლებმაც გლეხებს განთავისუფლების შემდეგ სინანულის საგალობელის მღერა დაიწყო, რომელმაც ლაპარაკი დაიწყო ბალხის წინაშე სათანადო მოვალეობის მოხდის შესახებ; არა, თქვენ სასამართლოს გადასცემთ თანამედროვე კურსკის და ბესარაბიის აზნაურობას, *) (მარცხნით ტაშის ცემა).

*) კურსკის და ბესარაბიის გუბერნიებიდან მარკოვ მე-2-რე და პურიშკევიჩი ბძანდებიან. (მთარგმ.)

ლი და გუბერნატორის კანცელარიის მოხელენი.

✦ **ანარქისტების საქმე.** როგორც „კავესტ“-ს გაუგია, თფილისში ამ მოკლე დროში გაირჩევა 96 ანარქისტის საქმე. სხვათა შორის, სამართალში მიცემულნი არიან საშვალო სასწავლებლის მოსწავლეები—ვაჟები და ქალებიც.

✦ **თფ. ჟურნალისტთა საზოგადოების წევრთა კრება** რომელიც დანიშნული იყო ქალაქის თვითმართველობაში „კვირას 31 იანვარს, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. შემდეგი კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. გამგეობა კრებას წარუდგენს მოხსენებას თფ. „პრესის სინდიკატისა“ და გაზ. „ეჟ. ობოზ“-ს ხელმძღვანელთა მოქმედების შესახებ.

✦ **გადასახადები სოფლათ.** ბაღდადის საპოლიციო უბნის სამ სოფელს, ფერსათს, დიდ ველას და როკითს, (ქუთ. მაზრ.) როგორც გაზ. „ფონს გაუგია, ორი წლის დარჩენილ გადასახადებს—23,000 მ. ახდევინებენ. ამ სამ სოფელში სულ 200 კომლი გლეხი ცხოვრობს.

✦ **ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი** გაიხსნა კვირას, 31 იანვარს. გამგეობის თავმჯდომარის მოკლე სიტყვის შემდეგ, ლექცია წაიკითხა გრ. გიორგაძემ: „სახალხო უნივერსიტეტები საზღვარ-გარეთ, რუსეთში და კავკასიაში“. მეორე ლექცია წაიკითხა გრ. ნასარიძემ: „ჰაერი და ჰავა.

✦ **მუშების გაძარცვა.** 6 შეიარაღებული უცნობი ბაქოში, ღამით, მუშათა უბანში შეიჭრა. ოცამდე თავმოყრილ მუშას თავს დაესხენ, მათი ბინები გაჩხრიკეს, 50 მ. გაიტაცეს და მიიმალენ.

✦ **განთავისუფლება.** ეჭვით დაპატიმრებულნი მილოვის ნოქრები გაანთავისუფლეს. ხსენებულ ნოქრებს მილოვის დაჭრაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდენ.

✦ **დრამ. საზ. წევრთა კრება** შესდგა, კვირას, 31 იანვარს. კრებას თავმჯდომარეობდა ე. თაყაიშვილი. გამოცხადდა სულ 28 წევრი. დამსწრეთ წარუდგინეს მოხსენება სრულიად საქართველოს თეატრის მოღვაწეობის შესახებ. არჩევნები არ მომხდარა. მთელი ძველი გამგეობა გადადგა. შემდეგი კრება ორი კვირის შემდეგ მოხდება; მანამდე ძველი გამგეობა იმოქმედებს.

✦ **მკვლელობა.** 1 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო თფილისის მოქალაქენი მ. მ. პირუმოვი და ო. მოსესოვი, რომელთაც როსკიპი ქალის ა. სარიჩკინის მოკვლა ბრალდება.

✦ **ქურდობა.** 1 იანვარს, ციხის ზედამხედველის მეუღლემ, ა. ს. ლისენკომ პოლიციას განუცხადა, რომ მას 3 ძროხა მოპარეს—450 მ. ღირებული. ეჭვით დააპატიმრეს რაჭის მაზრის მცხოვრებნი ი. ს. მასაშვილი, გ. და დ. სოფრომისძე ბიჭიაშვილები.

✦ **მკვლელის შეპყრობა.** 1 თებერვალს პოლიციამ შეიპყრო თფილისის მოქალაქე ვ. ი. კოროსიანცი, რომელსაც პოლიციის სიტყვით, ამიერ კავ. რკ. გზაზე მოსამსახურის ინჟინერ გინტორის მოკვლა ბრალდება 1909 წ. დაბა კარაკლისში.

ახალი სხივი

ქარი ბოროტათ ზუზუნებს,
გლოვის გაისმის ზარია,
ბნელათ გაშლილი ზეწარი
ქვეყანას გადაფარვია.
ჩაბნელებულა სამყარო
ხარობენ ბნელი ძალები,
მიდამოს მკაცრად დასცქერის
მათი ბოროტი თვალები.
გული შველასა მოითხოვს
კაეშნით დამონებული,—
გული სიმწუხრით მკვნესავი
ნაღველში აცურებული!..

***

მოდი, მოფრინდი, მნათობო,
გულს ჩააშუქე იმედი,
სიბნელეს სხივი სტყორცნევი,
სიცოცხლის წინამორბედი!..
აჰა, მოცურავს, მოფრინავს,
ბნელში შეიჭრა ნათელი,
ტანჯულიც გამხიარულდა
ახალი სხივის მნახველი!..

ბ. ველა.

„პრესის სინდიკატი“

ქალაქის საბჭოს სხდომა.

ორშაბათს, 1 თებერვალს, შესდგა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა; საბჭოს მოხსენდა რამდენიმე ცნობა, თფ. „პრესის სინდიკატისა“ და გაზ „ეჟენ. ობოზრ.“ წარმომადგენელის, ქალაქის ხმოსნის ს. მირზოევის შესახებ. თავის მოხსენებაში ამ საქმის შესახებ ა. ხატისოვმა სთქვა:

ამ ორი კვირის წინათ, არტისტიულ საზ. შენობის დარბაზში, ბ. ბატაილმა გულნატკენათ განაცხადა, თფილისის პრესის ნაწილი უსახელო საზოგადოების საშუალებითა და დახმარებით არსებობს, ძალიან საკვირველია, რომ თფ. გაზეთები სამაგიეროთ უსახელო საზოგადოებისა და მის არჩეულ პირთა წინააღმდეგ ილაშქრებიანო.

გაზ. „ეჟ. ობოზრენიე“, რომლის წარმომადგენლათ ბ-ნი ს. მირზოევი არის, ყოველთვიურათ 350 მ. დახმარებას ღებულობს უსახელო საზოგადოებიდანო. ქალაქის გამგეობის წევრმა, ნ. ე. არგუთინსკის, რომელიც ამ დროს იქ ყოფილა, ხმ. ახნაზაროვისა და ჭრელაეკის თანდასწრებით, ბატაილისათვის შეუნიშნავს, რომ ასეთი განცხადება მას. უსაბუთოთ მიიჩნია და ხმოსან მირზოევს შეუძლია ასეთი ბრალდებისათვის ის სამართალში მისცეს. მე უსაბუთოთ არაფერს ვამბობ, და რაც ვთქვი, კიდევ განვიმეორებ—უპასუხნია ბატაილს.

ამის შემდეგ ქალაქის გამგეობამ მირზოევს მოთხოვა ბრალდებისაგან თავი ემართლებია. მირზოევმა სთქვა: არაფერი ამის მზგავსი არ არსებობს, არავითარი გამართლება მე არ მეჭირვება, ბატაილიდან 350 მან. კიდეც ვღებულობდე შესაძლოა, მაგრამ, სულ სხვა რამისთვის—საჭირო მასალას ვუზიდავდი ტრამვაისო და სხვა—ყოველ შემთხვევაში, მან ბატაილისაგან პასუხის მოთხოვა შეგვპირდა, მაგრამ როცა ეს არ შეასრულა, მაშინ ბატაილს პირადათ მოველაპარაკე მე თვითონ, რომელმაც სთქვა, რომ „არსებობს „სინდიკატი,“ რომლის წარმომადგენლათ ბ-ნი მირზოევი ითვლება და, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს, რის ძალითაც უსახელო საზოგადოება ვალდებულია ასენებულ „სინდიკატს“ სასარგებლოთ 350 მან. იხადოს თვეში, «სინდიკატმა“ კი, თავის მხრივ, უსახელო საზოგადოების ინტერესი უნდა დაიცოს; ეს ფული ხსენებულ ამხანაგობას თებერვლიდან მიეცემაო.

ამის შემდეგ ს. მირზოევს არ შეეძლო კატეგორიული უარი ეთქვა. მან განაცხადა: მართალია, ბატაილი თვიურათ 350 მან. მაძლევდა; ჩემი მიზანი ნ. ელიავამ და კ. ჯაფარიძემაც იცოდენო. ნ. ელიავამ და კ. ჯაფარიძემ კატეგორიულათ უარყვეს მირზოევის ცნობა და ამ საქმესთან ყოველგვარი დამოკიდებულება.

ზემოხსენებულ საქმის გამოსარკვევათ ქალაქის გამგეობამ ქალაქის საქმეთა კომისიასთან ერთათ კრება მოახდინა, რომელსაც დაესწრენ მირზოევი და „ეჟ. ობოზრ.“-ს უმთავრესი თანამშრომლებიც: ლ. ყიფიანი და ვლ. ნაგურსკი. კრებაზე გამოირკვა, რომ 1909 წლ. 18 ივნისს, მირზოევს, ლევ. ყიფიანს და ნაგურსკის ურთიერთ შორის ხელშეკრულობა დაუდვიათ, რომ ისინი აარსებენ ამხ. „კურიერს“, რომლის მიზანი იქნება ხელი შეუწყოს უცხო კაპიტალის განვითარებას ჩვენში. ხელ-შეკრულობაზე ხელი უწერია სამივეს. ამასთანავე ლ. ყიფიანი და ვლ. ნაგურსკი მათ მიერ ხელ მოწერილს მოწმობას აძლევენ ბ-ნ მირზოევს, რომ მას ამხანაგობიდან, უფლება ეძლევა დამოკიდებულება იქონიოს სხვა და სხვა ფირმებთან კავშირის დაჭერის შესახებ და სხვა...

ამ მოწმობის ძალით ბ-ნ მირზოევს 1909 წ. 10 ნოემბერს ხელშეკრულობა დაუდვია ქ. ბრიუსელში უსახელო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასთან, რომლის ძალითაც ამხ. „კურიერი“ ანუ „პრესის სინდიკატი“ ყოველ თვეში 1000 ფრანკ დახმარებას ღებულობს თუ კი „სინდიკატი“ საზოგადოების ინტერესების დამცველი იქნებოდა. ხელშეკრულობაში ისიცაა მოხსენებული, რომ თუ თფ. ქალაქის საბჭო უსახელო საზოგადოების შუამდგომლობას მიიღებს ტრამვაის გამოსყიდვის ვადის გაგრძელების შესახებ, იმ შემთხვევაში საზოგადოება, სამის წლის ვადით, ყოველთვიურათ, ჩვეულებრივათ ათას-ათას ფრანკს გადაიხდის „სინდიკატის“ სასარგებლოთაო. ეს პირობა ხელმოწერილია უსახელო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობის მთავარ დირექტორების მიერ. ორივე ხელშეკრულობანი წაკითხულ იქნა მირზოევისა და ყიფიან-ნაგურსკის თანადასწრებით. ბრიუსელში შედგენილ ხელშეკრულობის შესახებ მირზოევმა განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება მარტო პროექტია და მე არ ვეთანხმები ამგვარ პირობასო, თუმცა ასეთი პირობა მას 3 თვეა თავისთან უძევს და არავისთვის დაუბრუნებია. ქალაქის გამგეობის კრებას დაუდგენია: „პრესის სინდიკატის“ საქციელი დასაგმობია და ყოველივე ამ საქმის შესახებ ქალაქის საბჭოს ეცნობოს. ამასთანავე ხმოსან მირზოევს გამგეობამ მისწერა, ხმოსნობას თავი დაანებოს და ამის შესახებ განცხადება თებერვლის 1, საღამოს 8 საათამდე შემოიტანოს გამგეობაში.

ასეთია მოკლეთ ისტორია ეგრეთ წოდებულ „პრესის სინდიკატისა“, რომლის ორგანოთ დღეს გაზ. „Еж. Обоз.“ ითვლევა. სხვა ცნობებს ა. ხატისოვმა ესეც დაუმატა—მირზოევი ამბობს, რომ ბრიუსელის ხელშეკრულობა ჩემმა ამხანაგებმაც იცოდენო, ამაზედაც ლევან ყიფიანმა უარი განაცხადა და სთქვა,—ბრიუსელის ხელშეკრულება მე ორი დღეა რაც გავიგე და მისი არსებობის ისტორია არ ვიცოდიო.

ხმოსანმა მირზოევმა ქალაქის გამგეობის განცხადების მიხედვით, ქალაქის გამგეობას, 1 თებერვალს, გმნცხადება წარუდგინა, რომ ის ხმოსნობას თავს ანებებს. ქალაქის საბჭომ მსჯელობა იქონია ხმოსან მირზოევის საქციელის შესახებ და დაადგინა: მირზოევის ვანცხადება ხმოსნობიდან გადადგომის შესახებ მიღებულ იქნას: წინადადება მიეცეს მირზოევს ერთი კვირის შემდეგ საბჭოს სხდომაზე წერილობით, ანუ სიტყვიერათ თავის გასამართლებელი საბუთები წარმოადგინოს თუ ისურვებს და თან ორივე ხელშეკრულებანი—(„პრესის სინდიკატისა“ და „ბრიუსელისა“) წარმოუდგინოს საბჭოს განსახილველათ.

გაზ. „ზაკ.“ მე-26 ნომერში მოთავსებულია ბატაილის საპასუხო წერილი მირზოევის მიმართ, ის სწერს:

დიდათ პატივცემულო ს. ზურაბისძეო! 29 იანვარს, თქვენ მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილი მივიღე.

ძალიან ვწუხვარ, რომ ამ საქმეში ჩემ მიერ ნალაპარაკევი ყველამ გაიგო, შენ და საზარალოთ. მე მეგონა, რომ ბრიუსელიდან ჩემ მიერ მიღებული ხელშეკრულება სრულიათ დამთავრებული იყო და არა პროექტი. და ამით ვფიქრობდი, რომ მე ბრიუსელიდან განკარგულებასაც მივიღებდი ამხ. „კურიერი“-სათვის ფულების მისაცემათ. მაგრამ მე შევცდი, რადგან, ხსენებული ხელშეკრულება—პროექტი ყოფილა და არა ნამდვილი პირობა, ამის გამო საქმეც არ შესდგა, რადგან შენმა ამხანაგებმა უარი სთქვეს ამგვარ პირობაზე. აქედან ცხადია, რომ შენ არაფერი კავშირი არა გაქვს ჩვენს საზოგადოებასთან და თავისუფლათ შეგიძლიათ იმოქმედოთ. ყოველივე ეს მე გუშინ გადავეცი ქალაქის გამგეობის წევრს ნ. ე. არღუთინსკის და ისიც ვაცნობე რომ ყველა დოკუმენტები ამხ. „კურიერის“ შესახებ თქვენ მიერ უკვე დაბრუნებულია და ჩემგან არავითარი სასყიდელი ამხ. „კურიერს“ არ მიუღია.

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

მთავრობის პროტესტი. სპარსეთის მთავრობამ ერთი თვით ადრე იცოდა, რომ რახმ-ხანს რუსეთის სახდგურზე გადასვლა მოუხდებოდა და ამიტომ თეირანში მეოფ რუსეთის ელჩს—პოჟედევსკის და სპარსეთის ელჩს (პეტერბურგში) მიმართა წინადადებით ენერგიული პროტესტი გამოეცხადებინათ და რახიმ-ხანი რუსეთში არ შეეშვათ. მიუხედავათ ამისა რახიმ-ხანი რუსეთში მაინც შეუშვეს. 27 იანვარს სპარსეთის კარეშე საქმეთა მინისტრმა პოჟედევსკის ნოტა გადასცა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ რახიმ-ხანმა ზარალი მიაყენა არა მარტო სპარსეთის ხალხს, არამედ რუსეთის ქვეშევრდომებსაც არდებილის განადგურების დროს. მინისტრი მოითხოვს რახიმ-ხანი სპარსეთის მთავრობას გადასცენ.

28 იანვარს სპარსეთის მთავრობამ სეკვესტრი გამოაცხადა რახიმ-ხანის მამულებზე და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებაზე, რომლის დირებულებაც 6,00,000 მანეთს უდრის. გაზეთი „ირან-ნოვი“ ეკრობას მომართავს და მოუწოდებს პროტესტი გამოაცხადონ რუსეთს, რომელმაც თავშესაფარი მისცა რახიმ-ხანს. რუსეთის მთავრობის მოქმედება გაზეთს დამახასიათებლათ მიაჩნია. ის სპარსელებს ითხოვდებს რუსეთთან მეგობრობა არ დაიწყონ, რომელსაც სპარსეთისათვის მხოლოდ ზარალი მოაქვსო.

ახლო-აღმოსავლეთი

პორტა კრიტოსის შესახებ. სტამბოლის გაზეთების გადმოცემით პორტა ორ გზას იძლევა კრიტოსის საკითხის გადასაწყვეტათ: ან კუნძული სებერძნეთს ექნეს მიკედული, ან და ეს საკითხი გადასწყვეტოს საერთაშორისო კონფერენციამ ავსტრია-გერმანიის დახმარებით.

კონფერენციის მოწვევა განზრახულია გაზაფხულისთვის რომში.

ქალების მანიფესტაცია. სტამბოლში, იმ შენობის წინ, სადაც ამ ჟამათ პარლამენტის სხდომები ხდება, სომსახურიდან გადაყენებულ 170 სატელეფონო ოპერატორის ცოლებმა დემონსტრაცია მოახდინეს. დემონსტრანტები მოითხოვდენ მათი ქმრების მდგომარეობის გაუმჯობესებას. პარლამენტის თავმჯდომარემ აღუთქვა, რომ მათ ჩივილს პარლამენტი მხედველობაში მიიღებსო.

რეაქციონური ოინები. სოფონიაში ოსმალეთის მთავრობამ დაატუსაღა და პასუხისგებაში მისცა რამოდენიმე რეაქციონერი მოხელე, რომელთაც ძველი რეჟიმის სასარგებლოთ აგიტაციის გაწევა ბრალდებათ. ისინი ასრულებდენ ზოგიერთ ადგილებიდან ნოტაბლების სურვილს, რომელნიც ცდილობდენ ბადულ-გამიდის განთავისუფლებას. ბრალდებულთა საქმეს განიხილავს სამხედრო სასამართლო.

საზღვარ-გარეთ

მუშათა პარტიის კონფერენცია. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ მუშათა პარტიის კონფერენციამ უარყო წინადადება, რომ პარტიას სოციალისტური პარტიის სახელი უწოდეს, რადგან პარტიის ბევრი წევრები სოციალიზმს არ იცნობენ. შემდეგ კონფერენციამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო: „კონფერენციის შესაბამისად, დემოკრატიული მმართველობის დროს ისეთი პატის არსებობა, რომლის წევრები მეფისაგან ინიშნებიან, ანაქრონიზმათ უნდა ჩაითვალოს და აღსაბოლოდ უნდა იქნას“. კონფერენციამ

დაადგინა აგრეთვე შემოდებულ იქნას საყოველდაო არჩევნები, განურჩევლად სქესისა, და ერთდროული არჩევნების დანიშნა ყოველ საარჩევნო ოლქში.

სოციალისტების კონგრესი. ნიმში გაიმართა საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესი. „რ. ს.“ გადმოცემით, კონგრესმა საარჩევნო ტაქტიკის შესახებ დადგინა: ცალკე ფრაქციებს უფლება აძლევთ განმეორებით კენჭის ყრის დროს ხმები მისცენ მემარცხენე რესპუბლიკანელებს.

კონგრესმა მისალმების დეპეშა გაუგზავნა აგუსტ ბებელს.

საარჩევნო მანიფესტი. საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესმა გამოუშვა საარჩევნო მანიფესტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის დეფიციტის გაზრდა გამოწვეულია ევროპის მუდმივი სამხედრო სამზადისით. მანიფესტი მოუწოდებს ამრჩევლებს: მოითხოვეთ სახალხო მიდიცია, სამუშაოდის შემცირება, სახელმწიფო და მუნიციპალურ მუშაობისადმი სინდიკატების შედგენის უფლების მინიჭება, მუშათა დასახიჩრებიდან და ავათმყოფობიდან დაზღვევა, პროგრესიული—შემოსავლის კვალობაზე გაწესებული გადასახადი, სამემკვიდრეო გადასახადი, მადარაჯების და რკინის გზების ნაციონალიზაცია, პროპორციონალური არჩევნები და სხვა...

საარჩევნო რეფორმები. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ დანტაგში გაიხსნა კამათი საარჩევნო რეფორმის შესახებ. „რ. სდ.“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ მთავრობის საარჩევნო კანონ-პროექტი შეუცვლელად მიღებული არ იქნება.

სოციალ-დემოკრატები პროტესტის გამოსაცხადებლად სამი დღის გაფიცვას ამზადებენ. გაფიცვის დაწყების დღე საიდუმლოთ ინახება.

ირანდიელები და სამინისტრო. ნაციონალისტების ბელადმა, რედმონდმა დუბლინში სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც მოითხოვდა, რომ ირემიერი ასკვიტი დაუყოვნებლივ შეუდგეს თავისი ადთქმის შესრულებას დორდთა პალატის „ვეტოს“ უფლების მოსპობის შესახებ. თუ ასკვიტი ამ ჟამათ შეუძლებელთ სცნობს ამ კონსტიტუციონური რეფორმის განხორციელებას და იმედი აქვს ჯერ ბიუჯეტის გაუგნისა, —განაცხადა რედმონდმა, —ამ შემთხვევაში ირლანდიელები სამინისტროს წინააღმდეგ წავდენო.

ირლანდიელების მიერ ასეთი კატეგორიული მოთხოვნილების წამოყენების გამო სამინისტროში უთანხმოება ჩამოვარდა, რაც სამინისტროს კრიზისს გამოიწვევს.

ომიანობის წინააღმდეგ. დონდონიდან მიღებული ცნობებით, მუშათა პარტიის კონფერენციაზე, რომელიც კეირ-კარდის თავმჯდომარეობით მოხდა, გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელიც საჭიროთ სცნობს შედგენილ იქნას საერთაშორისო კომისია უველა განთლებულ სახელმწიფოების მუშათა წარმომადგენლებისაგან. როგორც კი რომელიმე სახელმწიფოში ომის დაწყების შესახებ ცნობები გამოქვეყნდება, კომისია მის წინააღმდეგ საჭირო ზომებს მიიღებს და აღნიშნულ სახელმწიფოების მუშებს აცნობებს, თუ როგორ მოიქცენ. თავმჯდომარის წინადადებით კონფერენციამ ერთხმათ თანაგრძნობა გამოუცხადა ციმბირში გაგზავნილ შეორე სახელმწიფო დუმის ს. დ. ფრაქციის დეპუტატებს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

შაბათს და კვირას ქართულმა დასმა წარმოადგინა ბ-ნ ვასილ უოფიანის 5 მოქმედებიანი დრამა: „სამეგრელოს მთავარი დედანი“.

ამ დრამამ დიდი უურადღება მიიქცია ჩვენი ნაციონალისტების და ბევრს გული მოუფხანინა. ზოგს ჩვენი „ლიტერატურის გამანახლებელ მერცხლათაც კი მოეჩვენა („ფასკუნჯი“ № 10) ის. დიდის ამბით და ზეიმით ამცნეს ქვეყანას შესანიშნავი ნაწარმოების დაწერა, გაარჩიეს, დაგვპირდა კიდევ კრიტიკას იგივე „ფასკუნჯი“, ცალკე წიგნათაც გამოსცეს და ბოლოს სცენაზედაც გამოიტანეს. სანამ სცენაზე გამოიტანდენ აქაც ეურები გამოგვიწვდეს: „მზადდება წარმოსადგენათ“, „იკერება ახალი ტანისამოსები“, „იხატება ახალი დეკორაციები“ და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით მითქმა-მოთქმა, განკაში, ადტაცება და რეკლამა განუურელი თანამგზავრი გახდა ამ ისტორიული დრამის!

რა არის ასეთი ადტეინების მიზეზი? რისთვის მოსწონთ ეს ბიესი? რა სთქვა ბ-ნმა ეოფიანმა ისეთი, რომ დღემდის ათი ათასჯერ არ თქმულიეოს? რა იდეაა დრამაში გატარებული?

ბესუხის ქებნა ამაოა, რადგან რაც არ არის, აღებაც არაფრის შეიძლება.

აიღეთ სხვა ისტორიული ბიესები ჩვენი ცხოვრებიდან დაწერილი, მოიგონეთ „სამშობლო“, „და ძმა“, „ქართველი დედა“, „ბატარა გახი“, რა განსხვავებაა ამ ბიესებს და ბ-ნ ეოფიანის დრამის შორის?

ხმლების ჯახა-ჯეხი, სასხლის დერა, სამეფო ტანისამოსში სცენაზე სიარული, ფანჯრებში „გმირული“ სტუნვა, ლეკურ-ხანჯლით დამშვენებული წელი!.. აი რა ატეუებს, რა იმოსავებს და აჯადოებს ჩვენი ეკრეთ წოდებულ „მამების შვილების“ კრძნობას და გულს. აღნიშნულ ბიესებს და ბ-ნ ეოფიანის დრამის შორის განსხვავება მხოლოდ სიეუეტია. ეს სიეუეტი კი წვრილმანების გამოკლებით ასეთია: ლეკიანებმა აუქოთეს მოიავარს ოჯახი; მოტეუება, თავდამაქცობა, გაიძვერობა, ციდის წამება, დასმენა, ღალატი და სხვა ასეთები. ნუ თუ ამაში რაიმე ახალი და საინტერესოა?! ვისაკვის რა საინტერესოა თუ რა რომანიული ინტრიგები ინასკვებოდა ფუფუნებით კარეგნილ, გათახსირებულ მეფის სასახლეში!

წაიკითხავთ მთელ დრამას, მოაციდებთ წიგნს ხელს და შინაარსიც ქრება; ეეურებთ სცენაზე, გამოხვალთ კარეთ და თქვენს შთაბეჭდილებას ნაკვი მიაქროდებს. ერთ დამფიქრებელ, საინტერესო აზრს ვერ ნახავთ შიგ. ის არ ეხება არც ერთ „დაწეეკილ საკითხს“ არც აწმეოში, არც წარსულში, მით უმეტეს მომავალში.

ზეკით ჩამოთვლილ ბიესებში, რადგან ბატარა წაწკანა იდეა, იდეაა ნაციონალისტური, ეალბათ გაგებული სამშობლოს დაცვის და სიეუვარულის მიანც არის. აქ არც ესაა. ესაა მხოლოდ კარგათ დაწერილი სამეფო გვარეულობიდან ერთი ეპიზოდი და თან არა მნიშვნელოვანი და არა საეურადღებო.

სხვა ერებშიც იწერება ისტორიული ბიესები, მარა იქ ისტორიული მაგალითებით ავტორი რომელიმე საეურადღებო აზრს ამტკიცებს, ამა თუ იმ იდეას ასაბუთებს. მაგ. „ჭეტერა ლაისა“, „ხალხის სიკეთე“ (გერცისა) და სხვ.

ნიჭიერ მწერლებს მუდამ და ყოველგან მხოლოდ იდეური მოვალეობა აზიდავენ. სახელოვნო ნაწარმოები რომელიმე იდეის გამომხატველი უნდა იყოს,—ამბობს დობროლიუბოვი. მწერალმა, სახამ ფაქტებს დახატავდეს, უმალ თვით იდეა უნდა გამოარკვიოს და ამ იდეის წითელ ძაფზე აკინძოს თვით ეს ფაქტები. ბ-ნ ეოფიანს კი იდეისთვის თავი არ შეეწუწებია მან აიღო რამდენიმე ფაქტი, მოეეარა ერთათ თავი და ისიც ვერ მოახერხა, რომ ერთი მოქმედება მეორეზე კადაება და ერთი მთელი რამ მაინც მიეცა. და ეგვალა ამეების შემდეგ მოდი და დეეკერე იმაო („ფასკ.“ 10) ვინც კვარწმენებდენ: ეს დრამა კვალენას მოახდენს ჩვენს ლიტერატურაზე და განაახლებს მასო.

დრამის ტექნიკური მხარე მართლაც რიგიანია, ენაც კარგია, განსაკუთრებით პირველ სამ მოქმედებაში.

რაც შეეხება თამაშს აქ ბევრი არაფერი ითქმის, რადგან მთელ დრამაში არ არის არც ერთი ისეთი როლი, სადაც არტისტს შეეძლოს თავის ნიჭის გამოჩენა. სცენაზე უნდა იყოს თამაში, აქ კი სათამაშო არაფერი აქვს არტისტს. არტისტის მთელი მოქმედება თითქმის განკარგულებას, შეკრიბების დაგზავნას, დასმენასა, შემოთვლილი და მიტანილ-მოტანილი ამბების მოსმენას უნდა. არც ერთი ფსიხოლოგიური მომენტი, კარგა სამოდე წერილმანისა. ესაა ერთი მაშინ, როცა ლეკნს ცოდის დადატს ატეობინებს პაატა, მეორე როცა დარეჯანი ქმრის მოსაწამლათ ემზადება და მესამე, ეკანასკნელ მოქმედებაში ლეკნის სულიერი ტანჯვა. და რამდენათაც დრამის ჩარჩოები ნებას აძლევდა ლეკნს (მესხიშვილი) და დარეჯანს (ბხეიძე) იმდენათ კარგათაც კადმოგვცეს, თუმც ჩვენი აზრით დარეჯანის ტიპერობა ცოტათი მკრთალი იეო.

და თუ მიეხედავთ იმისა, რომ თითქმის ეეველა მოთამაშეს ეტეობოდა ემცადინა როლის შესწავლა-შეთვისება, დრამამ მაინც ვერ მოახდინა შთაბეჭდილება—ამის მიზეზი თვით დრამა და მისი ავტორი. მართალია მან ბევრი მომქმედი პირი დახატა სცენაზე, ბევრეიც კი არ დაინდო, ფორმალური ტირიდიც (ეს რეალისორს უნდა გამოეტოვებია) ეკკლესიით და მდგდით გამართა, მარა ეოველეგვ ეს დამსწრეთა შორის ან სიცილს იწვევდა, ან არავითარ კავდენას მასზე არ ახდენდა. ზოგიერთ ავტორს და არტისტსაც გონია, რომ რამდენათ უფრო ბევრს და ხმამაღლა იტირებენ სცენაზე, იმდენათ უფრო ატრემდების თვით მსმენელებსაც. მარა ეს არაა ასე „მარგარიტა გოტიე“-ში ქ. ბხეიძეს ერთი ტრემდიც არ გადმოუგდია თვითონ, ერთიც არ უკივლია, მარა, მსმენელების უმეტესობა თითქმის ქვითინებდა. ამის მიზეზი იეო, რასაკვირველია თვით ქ. ბხეიძე, მარა უმთავრესათ მისი ნიჭიერათ დაწერილი როლი. ბ. ეოფიანის დრამაში კი ხუთმა ბხეიძემ რომ იტირონ, ისეთ შთაბეჭდილებას მაინც ვერ მოახდენს. ამიტომაც იეო, რომ დრამიდან შთაბეჭდილება როგორც იტეეთ—ცოტაზე ნაკლები იეო; და თუ ეს ცოტაზე ნაკლები მაინც იეო, ამას უნდა უმადლოდეთ ბ. მესხიშვილს რომელმაც ჩვენი აზრით დეგანის როლში ბევრი შესწორებები შეიტანა. ბ. მესხიშვილის კაბირობენებით დეგანი ძალიან არ გავდა ეოფიანის დეგანს, განსაკუთრებით მეხუთე მოქმედებაში.

აი ასეთ დრამის დადგმაზე, როგორც ამბობენ, დრამ. საზ. კამეგობას ათას მანეთამდის დაუხარჯავს. ჩვენ ვფიქრობდით რომ ბ. მესხიშვილის დასში ეოფნა თავდები იეო იმის, რომ ჩვენი თეატრი ასეთ უაზრო დრამებს, უაზრო ხარჯებს აცდებოდა. მაგრამ ეტეობა ეოფილი მეფის აჩრდილის ნახვის სურვილი ისე აქვთ გამჯდარი ქართველი თეატრის მესვეურთ რომ ჩვენ ვეეჭვობთ ამ მხრით ბ. მესხიშვილმა რამე გაეწეოს.

გალიორკა.

მუშათა ეორის

სადგური მცხეთა. მცხეთა შედარებით პატარა სადგურია, მაგრამ კარტის თამაშსა და დვინის სმაში მგონი მცხეთელებს ბევრნი ვეედრებიან ჩვენში. „თრობა-კარტობაა“ ზედ ქურდობა, მთრახის ტაცა-ტაცეი, ვაჭრებისგან ეზიმო ეედეფა და სხვა, ასეთებიც დაერთო.

29 დეკემბერს აქ კატეხეს და კაქურდეს ბუფეტის მოსამსახურე შავლაძის ოთახი. გაგების თავაგე ენობა სადგიდობრივ ეანდარმებს. ამათ აცნობეს სოფლის სამმართველოს. მობრძანდა მამასახლისიც და სადგიდობრივ შემოწმების შემდეგ რამდენიმე პირნი სადგურიდან წაიყვანა შესაკითხათ მცხეთის სასოფლო სამართველოში. ამათ რიცხვში ოეეა მესამე კლასის მებუფეტეც. ამ უკანასკნელს შეკითხვის დროს რადაც თავ-დაეჭერელ სიტყვის გამო სოფლის მწერალმა ცემა დაუწეო და თავში მძიმე ჭრილობა მისცა.

ჩქარა ისევ ეველა გაეაეგეს. დაშავებული მებუფეტე მაზრის ექიმმა შეამოწმა. მწერლის თავხედობა ბ. თფილისის გუბერნატორთანგასასჩივრეს.

—აქვე უნდა აღვნიშნოთ მწუხარებით, რომ სადგიდობრივ მეუბეში სრული ინდიფერენტიზმია გამეფებული. არც ეურნალ გაზეთებს კითხულობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუფეტის მეუბეს და ზოგი-ერთ სადგურის მოსამსახურეთ, რომლებსაც მოსდით გაზ. „მომავალი“. „ხაზეინებში» კი არც ერთ გაზეთს ხელის მომწერი არ ეყვს. ალბათ, ესეც მათი ეკონომიით აიხსნება!

ეოველ მხრით დაქვეითებასთან ერთათ აქ არ იშოვნება რიგიანი სანოვაგე, განსაკუთრებით პური და ხორცი. სანოვაგის ეეარგიანობა აქაურმა კორესპონდენტმა აღნიშნა ამას წინმთ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში. ის უსაეგედურებდა ბ. გეგეჭკორს, რომ მას მცხეთის ეველა სავაჭროები მონოპოლიათ გაუხდია და რადგან კონკურენტი არ აწეენებს, ადარც ფასები გაუნია საქონელს და დირსებითაც არ ვარგა. ბრალდებულმა იმის ნაცვლათ, რომ დანაშაული ცოტათი გაესწორებია, ბრძანა:—„ჩვენს სავაჭროებში ეველაფერი რიგზედ არის, რაც შეეხება გაზეთში მოთავსებულ წერილს, ის ტეუიდია, მაგრამ რა პასუხი უნდა მოვსთხოვო ისეთ რედაქციას, რომელიც ასეთ ჭდექანებს წერილს უბეჭდავსო“ ცხეთა საზოგადოთ „უძღდო“ ქვეყანა და. ბ. გეგეჭკორიც „უჯოხოთ“ დაიარება. რაც შეეხება ადგილობრივ მეუბეის შეეიწროებას, ის ამაში მეტათ დახელოვნებულია...

Д—ли.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას 7 თებერვალს

ნ. კ. გაუსბანი წაიკითხავს ლექციას

კომეტაზე

ლექციის შემდეგ გაიმართება

—კონცერტი—

დასაწყისი დილის 11 საათზე

ფასი 5 კაპიკიდან 10 კ-დე.

ყველა მეეანახეთა ამხანაგობა

ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო კაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი —15-დან—30 კაპეიკამდე. (0—16)

ს ა ხ ლ ე ბ ი ს

„ბოლოეოი“

თფილისი, გოგოლის ქ. № 17.

ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.

პატივისცემით **მიხაილ ქოიავა** და

(0—14) **ეგეანი ბერტანაგა.**

კბილის ექიმი

ი. ბ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

ყვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავეალის № 71. (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

რომანიეეილი—დგეგუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავეალის ქუჩა № 34.

კბილის

საექიმო კაბინეთი

იოსეველისა

(„ბაუფრთხილდით კბილებ“ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—16)

მკერვალი ქალი

ვეებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ეოველ ნაირ თეთრეულებს.

ადრესი: კირპიჩნი ჰერეულოკი, № 2.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

კ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ქეიეეილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

დიდის არჩევით ყოველგვარი, ფარეორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ბურბელი საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლიოლონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაპრებს. (0—6—29)

13 დეკემბრიდან თფილისში. გამოდის ეოველკვირეული სალიტერატურო ეურნალი

„ს ხ ი ვ ი“

ეურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი, ლექსები, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები და სხვა. მონაწილეობას მიიღებენ: ა. ბაინი, ა. ბოსპირელი, გ. ლა, გ. მამართელი, ი. ასამანი, ი. ეთელი, ლ. ალიონი, ლ. ეო., ლ. ჩხეიძე, მ. ალაქიაშვილი, ნ. ალაქიაშვილი, რ. ადენიძე, ტ. რამიშვილი, რ. ბაძე, რ. შაველი, ტ. ბაქიშვილი და სხვანი.

პირველ ნომრიდან იბეჭდება ივ. გომართელის კრიტიკული წერილები ქართულ ლიტერატურაზე.

ეურნალი ღირს: ერთი წლით 5 მ., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., ერთი თვით 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ., ვინც ამ თავიდან გამოიწერს და თებერვლის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს, პირველ პრემიათ მიეცემა—სტეპენიკის მოთხრობა **„ახალი ეოლბის ნაპირზე“**. მეორე პრემიათ ირეთელის ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს. ამასთანავე დეკემბრის ნომრებიც უფასოთ გაეგზავნება. მეორე—აგვისტოს დამლევს.

ეურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. «მომავალი»-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან; წიგნის მაღაზია «ალიონში» ვ. გადილიასთან, კიროჩნი ქუჩა № 9; სტამბა «ბეჩატნოე დელო»-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

ქალაქ გარეთ ქუთაისში: წიგნის მაღაზია „იმერეთში“, ის. კვიცარიძესთან; სამტრედიაში რკ. გზის შკ. ყ. კობალეიშვილთან; ბათუმში რკ. გზ. შკაფში გ. მახარაძესთან; ჭიათურაში მასწ. ვ. ხუროძესთან; ჩოხატაურში წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში წიგ. მაღ. მ. თალაკაძეასთან; ხიდისთავში მასწ. ე. ლომთათიძესთან; სადგურ აჯიკაბულში ვ. ყიფიანთან და რკ. გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, типографія „Печатное Дѣло“, Вельяминовская № 6. Поліевкту Антоновичу Каландадзе.

მაცდარებლების მიმოსვლა

5 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე

თფილისიდან გადის

ბაქოსაკენ: საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

ბათუმისაკენ: საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 3 წ. დღით.

თფილისში მოდის

ბაქოდან: საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

ბათუმდან: საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დღით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

მიხაილოვი: სამგზავრო-საქონლის № 9, 3 ს. 2 წ. დღით.

თფილისში მოდის

მიხაილოვიდან: სამგზავრო-საქონლის № 10, 8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

თფილისიდან გადის: საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

თფილისში მოდის: საფოსტო № 72/73 ჯულფიან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიან 4 ს. 48 წ. ღამ მით.

ფ ე რ ფ ა ლ ი

ლ ე ნ ტ ი ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

ცრისიყვავილ. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული ენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის

ადრესი: გოგოლის ქუჩა, № 68.

კბილის ექიმი

ს. ბ ა შ ა ე მ ა ძ ე

დილით იიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

სტამბა „ბრიბა“, რუსის ქ. № 3.